

1მლ შპრიცების (IDA) ხარისხით კმაყოფილების შეფასება ზიანის შემცირების პროგრამის ბენეფიციართა შორის

კვლევის ანგარიში

კვლევა მომზადებულია ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ გლობალური ფონდის პროექტის „ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“ ფარგლებში.

მაისი, 2016

მადლიერების გამოხატვა

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი მადლობას უხდის შიდსთან, მალარიასთან და ტუბერკულოზთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტს „ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“ მხარდაჭერისათვის.

კვლევის ანგარიში მომზადდა მაკა გოგიას, ხათუნა ქუთათელაძის და გურანდა ჯიქიას მიერ.

განსაკუთრებული მადლიერებას გამოვხატავთ ზიანის შემცირების პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების მიმართ: "კავშირი იმედი"; "ნაბიჯი მომავლისკენ"; "ახალი ვექტორი"; "ორდუ"; "ახალი გზა"; "ფენიქსი 2009"; „ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონი“; „ჰეპა პლიუსი“; საერთაშორისო ორგანიზაცია ქალებისათვის „აკესო“.

სწორედ აღნიშნული ორგანიზაციების კვალიფიციური თანამშრომლების საშუალებით შესაძლებელი გახდა კვლევის ჩატარება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა შორის და კვლევისთვის აუცილებელი მიზნობრივი ინფორმაციის მიღება.

კვლევის ანგარიში

კვლევის პირველადი მიზანი იყო 1 მლ შპრიცების (IDA) ხარისხით პროგრამის ბენეფიციართა (ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი, იგივე ნიმ-ი) კმაყოფილების შეფასება, შპრიცთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოთხოვნების შეფასება.

კვლევის მეორადი მიზანს წარმოადგენდა პროგრამის ფარგლებში დარიგებული სხვა სახარჯი მასალით ბენეფიციარების კმაყოფილების შეფასება და საჭიროებების იდენტიფიცირება.

კვლევის დიზაინი მოიცავდა **ხარისხობრივ და რაოდენობრივ** კვლევის ინსტრუმენტებს.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით (იხ. დანართი 1), რომელიც მოიცავდა ღია და დახურულ შეკითხვებს.

კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი მდგომარეობდა შემდგომში: ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი, 18 წლის ზემოთ, რომელიც სარგებლობს შპრიცების და ნემსების (ზიანის შემცირების) პროგრამით და ნებაყოფლობით გამოხატავს სურვილს აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობის მისაღებად.

რაოდენობრივი კვლევისთვის შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი რანდომული შერჩევის საფუძველზე სერვის ცენტრებში (სტაციონარულად) მოსულ ბენეფიციარებს შორის.

საკვლევი პოპულაციის **შერჩევის ზომად** განისაზღვრა 379 ნიმ-ი.

კვლევაში მონაწილეობდა ზიანის შემცირების პროგრამის განმახორციელებელი 13 სერვის ცენტრი შემდეგ ქალაქებში: თბილისი (4 ცენტრი), თელავი, ქუთაისი, გორი, რუსთავი, ქუთაისი, სამტრედია, ოზურგეთი, ბათუმი, ფოთი და ზუგდიდი. კვლევაში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციები: "კავშირი იმედი"; "ნაბიჯი მომავლისკენ"; "ახალი ვექტორი"; "ორდუ"; "ახალი გზა"; "ფენიქსი 2009"; „ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონი“; „ჰეპა პლიუსი“; საერთაშორისო ორგანიზაცია ქალებისათვის „აკესო“.

ხარისხობრივი კვლევა ჩატარდა ზიანის შემცირების პროგრამის ბენეფიციარ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ფოკუს ჯგუფების საშუალებით. ფოკუს ჯგუფის კვლევა ჩატარდა სტრუქტურირებული მეთოდული სახელმძღვანელოს მიხედვით (იხ. დანართი 2). სულ ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფი: 2 თბილისში (ორგანიზაციები: „აკესო“ და „ჰეპა პლიუსი“), ქუთაისში („ახალი გზა“) და გორში („ნაბიჯი მომავლისკენ“). ფოკუს ჯგუფის შედეგები ბენეფიციარებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ჩაწერილ იქნა ხმის ჩამწერით მონაცემების სრულყოფილი დამუშავების მიზნით.

კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევა

სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით სულ გამოკითხულ იქნა შპრიცების პროგრამის 13 სერვის ცენტრში სულ 451 ბენეფიციარი.

ცხრილი 1. გამოკითხულ ნიმ-თა გადანაწილება სერვის ცენტრებისა და ქალაქების მიხედვით.

ცენტრი	ქალაქი	გამოკითხულ ბენეფიციართა რაოდენობა
"კავშირი იმედი"	ბათუმი	35
"ნაბიჯი მომავლისკენ"	გორი	35
"ახალი ვექტორი"	ვექტორი	40
"ნაბიჯი მომავლისკენ"	თელავი	30
"ორდუ"	ფოთი	35
"ახალი ვექტორი"	რუსთავი	36
"ახალი გზა"	სამტრედია	35
"ფენიქსი 2009"	ოზურგეთი	32
„ქსენონი“	ზუგდიდი	35
"ახალი გზა"	ქუთაისი	40
„ჰეპა პლიუსი“	თბილისი	35
„ახალი გზა“	თბილისი	32
„აკესო“	თბილისი	31

შეკითხვაზე „გაკმაყოფილებთ თუ არა IDA მიერ მოწოდებული 1 მლ შპრიცის ხარისხი?“ ბენეფიციართა 99.33%-მა აღნიშნა, რომ შპრიცის ხარისხი არ აკმაყოფილებს.

გამოკითხულთა შორის უკმაყოფილების მიზეზს შორის დომინირებს (75%) შემდეგი მიზეზები: აღნიშნულ შპრიცს აქვს „მაღალი მკვდარი ზონა“ (სივრცე, სადაც ინექციის შემდეგ რჩება ადგილი სითხისთვის), ნემსის გამავლობა ცუდია - საინექციო სითხე ძნელად ან სულ არ შედის ვენაში, წამალი ამოდის უკან, ნემსის თავს აგდებს (63%) და ნემსის წვერი ბლაგვია და აზიანებს ვენებს (52%).


ცხრილი 2 1მლ შპრიცთან დაკავშირებული უკმაყოფილების მიზეზები

#	უკმაყოფილების მიზეზი	რაოდენობა	%
1	კონტროლის საშუალებას არ იძლევა, ვენაში ხარ თუ არა;	222	49
2	ნემსის გამავლობა ცუდია - საინექციო სითხე ძნელად ან სულ არ შედის ვენაში, წამალი	282	63

კვლევის ანგარიში, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, 2016

	ამოდის უკან, ნემსის თავს აგდებს;		
3	საინექციო სითხე რჩება „მკვდარ ზონაში“	338	75
4	შპრიცზე არ მაგრდება გადასასხმელი სისტემა	119	26
5	შპრიცს ძვრება ნემსი, არ გააჩნია ფიქსატორი	248	39
6	ძალიან რბილი ნემსი აქვს (ვენაში შესვლისას იღუნება, ხანდახან ტყდება)	178	39
7	ნემსის წვერი ბლაგვია და აზიანებს ვენებს	236	52
8	სხვა მიზეზი (ჩაწერეთ მიზეზი)	9	2.7

აღნიშნული განაწილება გრაფიკულად ასე გამოიყურება:



სხვა ჩამოთვლილ მიზეზებს შორის ბენეფიციარების მიერ აღნიშნულ იქნა შემდეგი მახასიათებლები 1მლ შპრიცის შესახებ:

- შპრიცს აქვს 2 მკვდარი ზონა;
- B-Braun-ის ფირმის ჯობია;
- ვისაც პრობლემური ვენები აქვს, იკეთებს რამდენიმეჯერ კონტროლს, რამდენადაც ნემსის წვერი საკმაოდ რბილია,
- ნემსის თავი არ არის მახვილი, ამიტომ ვენაში ადვილად არ შედის, აზიანებს კანს; ხელმეორე ინექციისას ბლაგვდება. ბლაგვი ნემსი ამწვავებს ვენებთან დაკავშირებულ პრობლემებს;
- კონტროლის გაკეთებისას სისხლი დედდება შპრიცში;
- ნემსის ლითონი არის უხარისხო, არ სრიალებს ვენაში, ცუდად შედის კანში;
- ნემსზე არის ბზარები.

ხარისხობრივი კვლევა

ფოკუს ჯგუფების საშუალებით სულ გამოკითხულ იქნა 36 ნიმ-ი და 20 სოციალური/აუთორი მუშაკი.

ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას ბენეფიციარებთან პირდაპირი დიალოგის საფუძველზე დეტალურად მოხდა 1მლ შპრიცებთან დაკავშირებული მახასიათებლების გამოვლენა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ზიანის შემცირების პროგრამის სოციალური/აუთორი მუშაკები, რომლებიც ახდენენ სახარჯი მასალების გავრცელებას და ყოველდღიური მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ ნიმ-ებთან და თანასწორგანმანათლებლებთან.

ბენეფიციარების აღნიშვნით 1 მლ შპრიცი (IDA) არის უხარისხო, კერძოდ: ნემსის თავი ადვილად დრეკადია, სუსტად ემაგრება კორპუსს და ხდება წამლის დაღვრა - არ გააჩნია ფიქსატორი, კონტროლის საშუალებას არ იძლევა - სისხლი სწრაფად დედდება, საინექციო სითხე უფრო მეტი რაოდენობით რჩება „მკვდარ ზონაში“.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ შპრიცს აქვს ძალიან რბილი (ზედმეტად დრეკადი) ნემსი, რომელიც ვენაში შესვლისას იღუნება, ხანდახან ტყდება. 2 ბენეფიციარის აღნიშვნით, მათ პირადად ჩაუტყდათ ვენაში ნემსი და ქირურგის გადაუდებელი დახმარება გახდა საჭირო, რის შემდეგაც მათაც და მათ მეგობრებსაც აღარ აქვთ სურვილი მოიხმარონ აღნიშნული შპრიცები.

საგულისხმო აღმოჩნდა ბენეფიციარების კომენტარები აღნიშნულ 1ml შპრიცთან დაკავშირებით:

- „მირჩევნია სხვისი გამოყენებული B-Braun-ის შპრიცი ვიხმარო და ვიცოდე, რომ ვენაში ერთი შესვლითაც შევალ, ვიდრე ამ უხარისხო შპრიცებით ვიწვალო. სად მაქვს ამდენი დრო და ნერვები...“.
- „ძლივს ვშოულობთ ნარკოტიკს ისედაც, სადაა შპრიცში დასატოვებელი წამალი, არ მინდა ეგ შპრიცი, რამე სხვას ვიზამ, თუ ვიყიდე სადმე ხო კარგი, თუ არადა მაგას მაინც არ მოვკიდე ხელს..“
- „ნემსის თავი ისეთი ბლაგვია, რამდენჯერაც ვცადე ერთი შესვლით ვერ შევედი ვენაში. მერე სულ დამემალა ვენები, ძალიან გავწვალდი. არ მინდა ეგ შპრიცი და ბიჭებისთვისაც არ მიმაქვს, არც ვურჩევ არავის. მე თუ არ მომწონს სხვასაც არ მივცემ. აი, სხვა შპრიცები ხომ მიმაქვს? იმიტომ, რომ ვიცი ისინი კარგია და იყენებენ კიდევ ჩვენები...“
- „აღრე თუ 10 ცალი მიმქონდა ის გერმანული შპრიცები, ეხლა 1 ან 2 თუ მიმაქვს, იმიტომ რომ ვფიქრობ აფთიაქში ვიყიდი კარგ ხარისხს, ეს ყოველი შემთხვევისთვის მიმაქვს ჩემთვის რომ მედოს, მეგობრებს ამას არც ვთავაზობ, შეიძლება გამლანძღონ კიდევ...“

ბენეფიციარებმა ერთხმად აღნიშნეს, ბოლო ბოლო წლებში კმაყოფილები იყვნენ პროგრამაში მოწოდებული შპრიცების ხარისხით, განსაკუთრებული მოწონება გამოთქვეს გერმანული ფირმის B-Braun-ის წარმოების შპრიცებზე, რომელთაც ყველა ის მახასიათებელი ჰქონდათ, რაც მათ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. კერძოდ, შპრიცის ნემსი იყო კარგი ხარისხის, კარგად სრიალებდა ვენაში. ნემსის

თავი კარგად ემაგრებოდა შპრიცის კორპუსს და პრაქტიკულად არ იყო შემთხვევები, რომ ინექციისას ან ნარკოტიკის მომზადებისას შპრიციდან სითხე გადმოღვრილიყო. გარდა ამისა, გერმანული ფირმის შპრიცს ჰქონდა მცირე სივრცე („დაბალი მკვდარი ზონა“), შედეგად წამალი შპრიცში მინიმალურად რჩებოდა. ასევე, ბენეფიციარებმა ვერ გაიხსენეს ფაქტი, B-Braun-ის წარმოების 1მლ ნემსის თავის ვენაში ჩატეხვისა. აღნიშნეს, რომ ნემსის წვერი იყო საკმაოდ მახვილი და არ დგებოდა საჭიროება განმეორებითი ჩხვლეტების.

ფასილიტატორის მიერ დასმულ შემდგომ შეკითხვაზე „გაკმაყოფილებთ თუ არა პროექტის ფარგლებში მიღებული სხვა სახარჯი მასალები და შპრიცები?“ (1მლ შპრიცების გარდა), ბენეფიციარებმა აღნიშნეს შემდეგი:

- 2 მლ შპრიცების კორპუსი კარგია, დღეში კარგად მოძრაობს, თუმცა ნემსის თავი დაბალი ხარისხისაა, ნემსი მსხვილია და ინექციისას იწვევს ვენის დაზიანებას, ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ დაახლოებით 2 წლის წინ მიწოდებული შპრიცის ხარისხი გაცილებით უკეთესი იყო;
- 5 მლ შპრიცების ნემსის თავები გაშლილია (ფართო თავი აქვს) და ინექციისას აზიანებს ვენებს;
- ცალკე დარიგებული ნემსების (G 23, G25, G27), თავები ადვილად დრეკადია, თითქმის არ არის მოთხოვნა ბენეფიციარების მხრიდან;
- ბენეფიციარებში უფრო ხშირად გამოიყენება პეპელა G 23 და პეპელა G27, ნაკლებად მოხმარებადია პეპელა G25, პეპელა G27 -ის რეზინის მილი ძალიან წვრილია, სისხლი მალე დედდება შიგნით და წამალს აღარ ატარებს. შესაბამისად არ არის პრაქტიკული გამოყენებისთვის;
- ადრე მოწოდებული სპირტიანი ტამპონები გაცილებით უკეთესი ხარისხის იყო, იგი მეტი რაოდენობით შეიცავდა სითხეს;
- გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში დარიგებული კონდომების ხარისხი გაცილებით უკეთესია, სხვა დონორის მიერ მოწოდებულ კონდომებთან შედარებით;
- ადრე მოწოდებული თეთრი ფერის ჟგუტები უფრო გამძლე იყო (არ წყდებოდა და შეიძლებოდა უფრო მეტჯერ გამოყენება), ვიდრე დღეს არსებული ცისფერი ჟგუტები.

ფასილიტატორის მიერ დასმულ შეკითხვაზე: „რამდენად გესაჭიროებათ სხვა ისეთი მასალა, რომელიც ჩვენი სერვისების ჩამონათვალში არ არის?“ პროექტის ბენეფიციარებმა და აუთორიზ მუშაკებმა აღნიშნეს, რომ დამატებით ესაჭიროებათ:

- საინექციო წყალი „პუზიროკით“ (მინის 5 მლ ჭურჭელი), რომელსაც გამოიყენებენ ნარკოტიკის მოსამზადებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ხშირად უწევთ უსუფთაო ადჭურვილობის გამოყენება;
- საინექციო მასალის მოსამზადებელი სპეციალური კოვზი, რომელსაც ექნება სიღრმე, რომ წამალი არ გადმოიღვაროს;
- რეზინის ხელთათმანები ინექციის სისუფთავის მიზნით;
- ლიმონმჟავა ნარკოტიკის გასახსნელად.

დასკვნები

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ბენეფიციარებს არ მოსწონთ 1 მლ შპრიცების (IDA) ხარისხი, ბენეფიციარები გამოხატავენ ხმამაღალ უკმაყოფილებას, იკვეთება საშიში ტენდენციებიც - ურჩევნიათ მოიხმარონ ინექციისთვის სხვა, უფრო მაღალი ხარისხის შპრიცი, თუნდაც სხვილი გამოყენებული. ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები თითქმის იდენტურია და შპრიცის ხარისხს ახასიათებს შემდეგნაირად:

- შპრიცი არ იძლევა კონტროლის საშუალებას;
- ნემსის გამავლობა ცუდია;
- საინექციო სითხე უფრო მეტი რაოდენობით რჩება „მკვდარ ზონაში“ ;
- შპრიცზე არ მაგრდება გადასასხმელი სისტემა;
- შპრიცს სძვრება ნემსი, არ გააჩნია ფიქსატორი;
- ძალიან რბილი ნემსი აქვს;
- ნემსის წვერი ბლაგვია და აზიანებს ვენებს.

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ სხვა სახარჯი მასალები ძირითადად აკმაყოფილებთ ბენეფიციარებს, თუმცა გამოვლინდა მათი გაუმჯობესების საჭიროებაც.

- 5 მლ შპრიცების ნემსის თავი არის ფართო და არ არის მახვილი;
- „პეპელა G27“ -ის რეზინის მილი ძალიან წვრილია, სხვა „პეპლებთან“ შედარებით. შესაბამისად არ არის პრაქტიკული გამოყენებისთვის;
- ადრე მოწოდებული სპირტიანი ტამპონები გაცილებით უკეთესი ხარისხის იყო, იგი მეტი რაოდენობით შეიცავდა სითხეს;
- არსებული ცისფერი ჟგუტები ნაკლებად გამძლეა, წინა შესყიდვისგან განსხვავებით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა საჭიროება, რომ პროექტის ფარგლებში საჭიროა დამატებითი აღჭურვილობის მიწოდება ნიმ-ებისთვის:

- საინექციო წყალი მინის 5მლ ჭურჭლით;
- საინექციო მასალის მოსამზადებელი სპეციალური კოვზი;
- რეზინის ხელთათმანები ინექციის სისუფთავის მიზნით;
- ლიმონმჟავა ნარკოტიკის გასახსნელად.

რეკომენდაციები

რამდენადაც კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამის ბენეფიციარები აღნიშნული 1მლ შპრიცების ხარისხით (IDA) უკმაყოფილო არიან, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მათი დროული ჩანაცვლება, სხვა, უკეთესი მახასიათებლების მქონე შპრიცებით.

შპრიცების პროგრამის ეფექტურობა მისი სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პროგრამის ფარგლებში მიწოდებული მასალების და ზოგადად სერვისის ხარისხზე. მასალების ხარისხით უკმაყოფილო ბენეფიციარმა მომავალში შესაძლოა არც მიმართოს პროგრამას, ან ისარგებლოს პროგრამის სხვა სერვისებით. მნიშვნელოვანი ყურადღება

უნდა მიექცეს ბენეფიციარების კმაყოფილებას, რეგულარულად უნდა მოხდეს მათი საჭიროებების შესწავლა (მინიმუმ წელიწადში ერთხელ).

მიზანშეწონილია, რომ მომავალ ტენდერში, სადაც უნდა მოხდეს 1მლ და სხვა შპრიცების და მასალების შესყიდვა, გათვალისწინებულ იქნას უშუალოდ ნიმუშების მოსაზრება.

გათვალისწინებულ და გამოყენებულ უნდა იქნას წლების განმავლობაში შპრიცების პროგრამის შესყიდვებისას (2011-2014 წლები) არსებული პრაქტიკა: ტენდერში გამოვლენილი კომპანიები წარმოადგენდნენ ვიზუალურ მასალას განსახილველად. აღნიშნული მასალები წარედგინებოდათ პროგრამის ბენეფიციარებსა და თანამშრომლებს (ავთორიზ მუშაკები) - წარდგენა ხდებოდა 2 დამოუკიდებელი ჯგუფისთვის, თითოეული ჯგუფის შემადგენლობა არაუმცირეს 8 ადამიანისა. აღნიშნული განხილვის შედეგად, მხოლოდ მათი დასტურის შედეგად განისაზღვრებოდა ტენდერში საბოლოო გამარჯვებული. ახალი საინექციო აღჭურვილობის/მასალების შესყიდვა საწყის ეტაპზე უმჯობესია მოხდეს მცირე რაოდენობით, ჩატარდეს მიზნობრივი სწავლება თითოეული კომპონენტის გამოყენების სპეციფიკის შესახებ, მიეცეთ გამოსაყენებლად სერვის ცენტრებში ბენეფიციარებს. მხოლოდ ამის შემდგომ უნდა მოხდეს დამატებითი მასალების უფრო დიდი რაოდენობით შესყიდვა.

დანართი 1

კითხვარი

ბენეფიციარების გამოკითხვა IDA-

ს მიერ მოწოდებულ 1მლ შპრიცების ხარისხზე

მოგესალმებით. დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ მობრძანებისთვის და ჩვენს კვლევაში მონაწილეობის მიღებისთვის.

ჩვენი ორგანიზაცია წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს გლობალური ფონდის პროექტს „ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“.

განხორციელებული პროექტის ხარისხის და ეფექტურობის შეფასების მიზნით დაინტერესებული ვართ ჩვენი ძალისხმევა მაქსიმალურად მოვახმაროთ პროექტის ბენეფიციარების კმაყოფილების უზრუნველყოფას, შევისწავლოთ მათი საჭიროებები, აკმაყოფილებთ თუ არა მიწოდებული მასალების ხარისხი, არის თუ არა საკმარისად კომფორტული გარემო სერვისების მისაღებად.

დღეს ჩვენ საუბარი გვექნება შპრიცების და ნემსების ხარისხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გვინტერესებს რამდენად მოგწონთ IDA-ს მიერ მოწოდებული 1მლ შპრიცების ხარისხი და თუ არ მოგწონთ დაასახელოთ შესაბამისი მიზეზი. თქვენგან მიღებული ინფორმაცია აღნიშნული საკითხის ირგვლივ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენი ორგანიზაცია მაქსიმალურად ეცდება გაითვალისწინოს თქვენი მოთხოვნები შემდგომი შესყიდვების დაგეგმვის დროს.

კითხვარი ივსება სოც. მუშაკის მიერ თითოეულ ბენეფიციართან ინდივიდუალურად გასაუბრების შედეგად.

A1 ბენეფიციარის კოდი: (სოც. მუშაკმა უნდა დააფიქსიროს ბენეფიციარის 7 - ნიშნა კოდი)

A2 სოც.მუშაკის სახელი და გვარი:

A3 გაკმაყოფილებთ თუ არა IDA-

ს მიერ მოწოდებული 1მლ შპრიცის ხარისხი? (წაუკითხეთ ბენეფიციარს და შემოხაზეთ შესაბამისი პასუხი)

- დიახ
- არა

A4 თუ არ გაკმაყოფილებთ, დაასახელოთ მიზეზი: (ბენეფიციარს წაუკითხეთ კითხვა, პასუხები ხმამაღლა არ წაუკითხოთ, მოუსმინეთ ბენეფიციარს, დაასახელოს მიზეზი და შესაბამისი ვარიანტი თქვენ თვითონ შემოხაზეთ ან/და "სხვა" ველში მიუთითეთ დასახელებული მიზეზი)

1. კონტროლის საშუალებას არ იძლევა, ვენაში ხარ თუ არა;
2. ნემსის გამავლობა ცუდია - საინექციო სითხე ძნელად ან სულ არ შედის ვენაში, წამალი ამოდის უკან, დგუმს აგდებს;
3. საინექციო სითხე უფრო მეტი რაოდენობით რჩება „მკვდარ ზონაში“ ;
4. შპრიცზე არ მაგრდება გადასასხმელი სისტემა;
5. შპრიცს სძვრება ნემსი, არ გააჩნია ფიქსატორი;
6. ძალიან რბილი ნემსი აქვს (ვენაში შესვლისას იღუნება, ხანდახან ტყდება);
7. ნემსის წვერი ბლაგვია და აზიანებს ვენებს;
8. სხვა მიზეზი (ჩაწერეთ მიზეზი);

სოც.მუშაკის ხელმოწერა -----

დანართი 2

ფოკუს ჯგუფების კვლევისთვის გამოყენებული კითხვარი

მისალმება

მოგესალმებით. დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ მობრძანებისთვის და ჩვენს კვლევაში მონაწილეობის მიღებისთვის.

ჩვენი ორგანიზაცია წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს გლობალური ფონდის პროექტს „ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“.

განხორციელებული პროექტის ხარისხის და ეფექტურობის შეფასების მიზნით დაინტერესებული ვართ ჩვენი ძალისხმევა მაქსიმალურად მოვახმაროთ პროექტის ბენეფიციარების კმაყოფილების უზრუნველყოფას, შევისწავლოთ მათი საჭიროებები, აკმაყოფილებთ თუ არა მიწოდებული მასალების ხარისხი, არის თუ არა საკმარისად კომფორტული გარემო სერვისების მისაღებად.

დღეს ჩვენ საუბარი გვექნება შპრიცების და ნემსების ხარისხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გვაინტერესებს რამდენად მოგწონთ 1მლ შპრიცების ხარისხი. ასევე გვაინტერესებს რამდენად გესაჭიროებათ სხვა ისეთი მასალა, რომელიც ჩვენი სერვისების ჩამონათვალში არ არის.

ჩვენ გვაქვს შემუშავებული რამდენიმე კითხვა, რის შესახებაც გვინდა მივიღოთ თქვენგან ინფორმაცია. გარდა კითხვებისა, რამოდენიმე საკითხზე ჩვენ გვაინტერესებს თქვენი აზრი და რეკომენდაცია. თქვენგან მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია აღნიშნული საკითხების ირგვლივ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენი ორგანიზაცია მაქსიმალურად ეცდება გაითვალისწინოს თქვენი მოთხოვნები შემდგომი შესყიდვების დაგეგმვის დროს.

შესაძლებელია დღევანდელ შეხვედრაზე მონაწილეთა აზრი განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რაც სასურველიც არის. რაც უფრო მეტი განსხვავებული აზრი იქნება, მით უფრო მეტი იქნება კვლევის მაღალი შედეგის და ხარისხის ალბათობაც. აქ არ არსებობს სწორი და არა სწორი პასუხები. ნებისმიერი თქვენს მიერ გამოთქმული აზრი კონკრეტულ საკითხზე, ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

დამეთანხმებით ალბათ, რომ ძნელია მთელი შეხვედრის სრულყოფილად დამახსოვრება. თქვენი ნებართვით ჩვენს შეხვედრას დაესწრება ჩვენი თანამშრომელი (ხათუნა ქუთათელაძე), რომელიც ხმის ჩამწერით ჩაიწერს თქვენს მიერ გამოთქმულ აზრებსა და შეფასებებს. ეს ყველაფერი საჭიროა იმისთვის, რომ უფრო სრულყოფილად დავამუშავოთ ჩვენი შეხვედრის შედეგად მიღებული მონაცემები და არ დაიკარგოს არცერთი თქვენს მიერ გამოთქმული მნიშვნელოვანი აზრი.

მოდით დავიწყოთ ჩვენი ერთობლივი მუშაობა.

კითხვები ცოდნის და საჭიროებების შეფასებისათვის

1) გაკმაყოფილებთ თუ არა პროექტის ფარგლებში მიღებული სახარჯი მასალები შპრიცები (1მლ შპრიცების გარდა): *(მოდერატორმა უნდა მიაწოდოს შესაბამისი მასალები განსახილველად)*

2 ml შპრიცები

3 ml შპრიცები

5 ml შპრიცები

10 ml შპრიცები

20 ml შპრიცები

ჟგუტი

კონდომი

• დიახ

• არა

თუ არ გაკმაყოფილებთ, გთხოვთ დაასახელოთ რომელ მასალას გულისმობთ და რა არ მოგწონთ მასში? თქვენი აზრით როგორი უნდა იყოს ისინი?

2) გაკმაყოფილებთ თუ არა IDA-

ს მიერ მოწოდებული 1მლ შპრიცის ხარისხი? *(მოდერატორმა უნდა მიაწოდოს შესაბამისი მასალები განსახილველად)*

• დიახ

• არა

2) თუ არ გაკმაყოფილებთ, გთხოვთ ერთად განვიხილოთ მიზეზები:

- შპრიცი არ იძლევა კონტროლის საშუალებას, შეხვედი ვენაში თუ არა;
- ნემსის გამავლობა ცუდია- საინექციო სითხე ძნელად ან სულ არ შედის ვენაში, წამალი ამოდის უკან, დგუმს აგდებს;
- საინექციო სითხე უფრო მეტი რაოდენობით რჩება „მკვდარ ზონაში“ ;
- შპრიცზე არ მაგრდება გადასასხმელი სისტემა;
- შპრიცს სძვრება ნემსი, არ გააჩნია ფიქსატორი;
- ძალიან რბილი ნემსი აქვს (ვენაში შესვლისას იღუნება, ხანდახან ტყდება)
- ნემსის წვერი ბლაგვია და აზიანებს ვენებს.

3) გთხოვთ დაასახელოთ ისეთი მასალა, რასაც აქტიურად იყენებთ და ან გესაჭიროებათ ინექციის დროს და არ არის ხელმისაწვდომი ჩვენს სერვის ცენტრებში.

4) გთხოვთ დაასახელოთ კიდეც რის შეცვლას ან გაუმჯობესებას ისურვებდით სერვის ცენტრში მიღებული მომსახურების პაკეტში?

კიდეც ერთხელ დიდი მადლობა მობრძანებისა და დახმარებისათვის. გისურვებთ წარმატებებს.